პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 აგვისტო, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 158 (10 077) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეოკ-ის საინიციატივო ჯგუფისაგან

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფი იუწყება, რომ ამ ჯგუფის მორიგი, მეოთხე სხდომა გაიმართება დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში.

დასაწყისი 16 საათზე.

საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია

ჩვენს გაზეთში უკვე გამოქვეყნდა წერილი საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ეროვნული კონცეფციის საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. შემდეგ პრესაში, კერძოდ, გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა კონცეფციის რუსთაველის საზოგადოების ალტერნატიული ვარიანტი.

დღეს გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს ალტერნატიული ვარიანტიდან იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის შემდგომ განვითარებასთან.

მკითხველებს ვთხოვთ, ორივე ვარიანტზე გამოთქვან თავიანთი მოსაზრება და მოგვაწოდონ რედაქციაში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

„**საქართველოს** სსრ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია შიგარესპუბლიკური რეგიონების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დაჩქარებული, პროპორციული და შეწონასწორებული განვითარება, რომელიც შრომითი აქტივობის, პოლიტიკური და ეროვნული სამართლიანობის პირობებში უზრუნველყოფს რეგიონებისა და მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას, მისი ფიზიკური და სოციალური უნარის ამოქმედება-განვითარებას, ჯანსაღი საცხოვრისი გარემოს შენარჩუნებას და სრულყოფას“.

• • •

„**საქართველოს** რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია რეგიონებმა, აგრეთვე ტერიტორიულად ახლომდებარე სოფლებმა და პატარა ქალაქებმა დამოუკიდებლად მოახდინონ თავიანთი სახსრების კოოპერირება რეგიონთაშორისი მნიშვნელობის ეკონომიკური და სოციალური პროგრამების პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად (ჯანმრთელობის, სპორტის, ტურიზმის, საშუალო და პროფტექნიკური განათლების, მეცნიერების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, გარემოს დაცვისა და სხვა ობიექტების, ელექტროგადამცემი ქსელების, გზების, წყალსადენების, ერთობლივი საწარმოების და სხვ. მშენებლობა და ექსპლოატაცია)“.

• • •

„**საქართველოს სსრ** სახელმწიფო სოციალურ-კულტურული პოლიტიკა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ყველა ელემენტის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს: რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას; საზოგადოების ყველა წევრის ჯანმრთელობის განმტკიცებას, მათი რეალური და ფიზიკური პოტენციალის ზრდას“...

• • •

„**საქართველოს სსრ** სოციალურ-კულტურული პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოფს რეკრეაციული, ტურისტული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საკურორტო მეურნეობის განვითარებას. ამ პოლიტიკის გატარების უპირველესი საფუძველია რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა ტურისტულ-გამაჯანსაღებელი და საკურორტო ობიექტის დაქვემდებარება საქართველოს სსრ ხელისუფლებისადმი“.

• • •

„**რესპუბლიკის** კულტურული პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ფიზიკური კულტურის და სპორტის განვითარება სპორტული, მათ შორის დამოუკიდებელი ოლიმპიური მოძრაობისა და დამოუკიდებელი ეროვნულ-სპორტული ორგანიზაციების ბაზაზე“.

• • •

„**საქართველოს სსრ** უზრუნველყოფს მისი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებას ჯანსაღ, ეკოლოგიურად უსაფრთხო სასიცოცხლო გარემოზე“.

• • •

„**რესპუბლიკის** სოციალურ და კულტურულ პოლიტიკას მართავენ: სახალხო განათლების, კულტურისა და ინფორმაციის, ჯანმრთელობის დაცვის და სპორტის სამინისტროები, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი“.

პლუს ორი გამარჯვება



გენადი პეტრუხინი

ჩვენ გაუწყეთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ფელდბერგში გამართულ წყალმოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში („მეგობრობის თასი“), დიდ წარმატებას მიაღწია ფოთელმა გოგონამ ხათუნა კორკელიამ — მან სამი პირველი ადგილი დაიკავა.

საკდესის ამ ცნობაში მითითებული არ იყო, რომ იმ 10 სპორტსმენს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გამოიყვანა ამ შეჯიბრებაში, კორკელიასთან ერთად ასპარეზობდა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ასევე ფოთელი გენადი პეტრუხინი. ახლა შევიტყვეთ, რომ პეტრუხინსაც წარმატებით უასპარეზია „მეგობრობის თასზე“ (სხვათა შორის, სოციალისტური ქვეყნების წყალმოთხილამურეთა ამ ტრადიციულ ტურნირზე წელს ამერიკელი და კანადელი სპორტსმენებიც მიიწვიეს). თავის ასაკობრივ ჯგუფში პეტრუხინი საუკეთესო იყო ტრამპლინიდან ხტომაში (39,9 მეტრი) და ფიგურულ სრიალში (6220 ქულა).

ერთი სიტყვით, საქართველოს სპორტსმენებმა ფელდბერგში 5 პირველი ადგილი დაიკავეს და ამით საგრძნობლად გაზარდეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა საერთო აქტივი (შეგახსენებთ, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში 16 გამარჯვება მოიპოვეს).

დასასრულ დავძენთ, რომ ორივე წყალმოთხილამურე საქართველოს პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის აღზრდილია. ისინი ფოთის საწყლოსნო ბაზა „აიაში“ დაოსტატდნენ.

◆ ◆ ◆

სსრ კავშირის პირველობა ველორბოლაში

ახლა გზატკეცილზე...

ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენი ახალგაზრდა ველოსიპედისტები საგზატკეცილო რბოლებშიც უკვე თამამად უწევენ მეტოქეობას მეტად ძლიერ კოლექტივებს სხვა რესპუბლიკებიდან, რომლებთანაც გატოლება ადრე შეუძლებელი ამოცანა ჩანდა. საქართველოს გუნდში გამოჩნდნენ პერსპექტიული სპორტსმენები. აი, ახალი გამარჯვებაც: ხარკოვში დამთავრებულ საკავშირო პირველობაში გოგონათაშორის (კრიტერიუმი) უძლიერესი იყო რუსთაველი ინეტა კირიანოვა. მან ეს წარმატება სამი ეტაპის ჯამში მოიპოვა. სხვათა შორის ხარკოვში საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა ჩვენი კიდევ ერთი სპორტსმენი ქობულეთელი ნატალია სამბაშიძე. ორივე გოგონა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელია.

ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია თბილისელმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. მან ლევ ფსახისთან ერთად 6,5 ქულა მოაგროვა (9-დან), I-II ადგილები გაიყო და უკეთესი კოეფიციენტის წყალობით გაინაღდა პირველობა. III-IV ადგილები გაიყვეს ბორის გელფანდმა (ყველა — სსრ კავშირი) და იუდით პოლგარმა (უნგრეთი). სასიხარულოა, რომ ზ. აზმაიფარაშვილმა გაისად ამსტერდამის მთავარ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

სპორტის იმ სახეობებს შორის, რომლებსაც კაცობრიობამ ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ჩაუყარა საფუძველი, არის ცხენოსნობაც. მსოფლიოს მრავალი ხალხის ისტორიული წარსული, თუ გნებავთ, კულტურის, ვაჭრობის, მოგზაურობის განვითარება დაკავშირებულია ცხენთან. სხვადასხვა ხალხმა შექმნა ცხენოსნობის სხვადასხვა ეროვნული სახეობები. ქართველებს ამ მხრივ ბადალი არ ჰყავდათ დედამიწის ზურგზე იმ ცხენოსნურ ხალხურ-ეროვნულ სახეობებს შორის, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა ოდითგანვე შექმნეს, განსაკუთრებული ადგილი უკავია მარულას. ისევე, როგორც ისინდი, ცხენბურთი, მკერდაობა, ყაბახი, ჩეხვა... მარულა არ ყოფილა მხოლოდ გასართობი სანახაობა. იგი ცხენ-მხედარში საუკეთესო ფიზიკური მონაცემების, მათ შორის გამძლეობის გამომუშავებას ემსახურებოდა. გრძელ მანძილებზე დოღი სხვა ხალხებში იშვიათად გვხვდება. ქართველი ხალხი მტერთა მუდმივმა შემოსევებმა აიძულა ყოველთვის კარგად მომზადებული ყოფილიყო მომხვდურთან გასამკლავებლად, თუ საჭირო იყო, ცხენის გამოუცვლელადაც გადევნებოდა მტერს. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ მარულას ზუგდიდის იპოდრომზე, მარჯვნივ ჩეხვის საყვარელი და საინტერესო საცხენოსნო შეჯიბრება — „სტიპლ-ჩეიზი“, რომელიც წელს მეასედ ჩატარდება პორდუბიცეში.

ტელეტაიპი - მკითხველი

ოტავა. სასკაჩევანის პროვინციის ქალაქ სასკატუნში დაიწყო დიდი კომპლექსური სპორტული შეჯიბრება — კანადის საზაფხულო თამაშები, რომლის პროგრამაშია სპორტის 16 სახეობა და მონაწილეობს ქვეყნის ყველა პროვინციისა და ორი ტერიტორიის 3.500 ათლეტი. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, თამაშები 18,5 მილიონი დოლარი დაჯდა.

ბრიუსელი. ბელგიის მრავალდღიანი ველორბოლის მეხუთე ეტაპი ტარტუელმა იან კირსიპუუმ მოიგო. ხუთი ეტაპის ჯამში რბოლას მეორე ესტონელი ველოსიპედისტი აივარ მურდი ლიდერობს.

მიუნხენი. აქ 2 სექტემბერს გაიმართება სპიდვეისტთა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის მთავარი ფინალი. მასში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ინგლისელებმა კ. ტეტუმმა (16 ქულა), ს. ვიგმა (9), დ. დონკესტერმა (7), ე. სმითმა (6), დანიელებმა ე. გუნდერსენმა და ჰ. ნილსენმა (15-15), ი. ო. პედერსენმა (9), ახალზელანდიელმა მ. შირამ (14), შვედმა ტ. ოლსონმა (8), ფინელმა ო. ტიუვაინენმა (8) და ამერიკელმა რ. კერიმ (7).

ბონი. მრავალდღიანი ველორბოლის ბოლო ეტაპი გდრ-ის წარმომადგენელმა ოლაფ ლუდვიგმა მოიგო, საერთო ჯამში კი პირველი ადგილი მისმა თანაგუნდელმა ფალკ ბოდენმა მოიპოვა.

მადრიდი. საგზატკეცილო ველოსპორტში მსოფლიო თასის მერვე ეტაპი (პროფესიონალთა შორის) ყველაზე უკეთ ავსტრიელმა გერჰარდ ზაბრობილეკმა გაიარა. 244 კმ მან 6:24.10-ში დაფარა.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპოროტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ველოსპორტში — მამუკა შუბითიძეს (ლაგოდეხი, პროფკავშირები)

ნიჩბოსნობაში (ბაიდარა, კანოე) — ვახტანგ მარტოლეკს, ნინო მუსოევას (ორივე — მცხეთა, პროფკავშირები)

ჭადრაკში — გოჩა ტყებუჩავას (სენაკი, პროფკავშირები), ნათია ჯანჯღავას (თბილისი, პროფკავშირები)

ძალოსნობაში — გარიკ ტიროიანს (რუსთავი, პროფკავშირები), კობა იობიძეს (წყალტუბო, პროფკავშირები)

ფარიკაობაში — დავით აბესაძეს (თბილისი, პროფკავშირები)

აკრობატიკაში — თამარ გოგინაშვილს, ათონია იანაკოვს, ვილი ვართანოვს, მადონა კილაძეს, სტანისლავ პეტროვს (ყველანი — თბილისი, სახალხო განათლება), მაია ცეცხლაძეს, რუსუდან თურმანიძეს, ბექან დავითაძეს, მაია დუმბაძეს, ნესტან ქათამაძეს (ყველანი — ბათუმი, სახალხო განათლება), ნინო ხარაბაძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), მანანა ლურსმანაშვილს, სვეტლანა კოლინჯაშვილს (ორივე — რუსთავი, სახალხო განათლება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანი — სპორტული სუვერენიტეტი! რაგბი: გზა წინსვლისა

დიახ, ეროვნული ჩემპიონატი!

„ლელოში" გამოქვეყნებულმა წერილებმა, რომლებიც ეხებოდა რაგბიში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას, სპეციალისტებს შორის დიდი კამათი გამოიწვია. ცხადია, საქართველოს რაგბის კავშირმაც გამგეობის (პრეზიდიუმის) სხდომაზე იმსჯელა ამ საკითხზე. იმ აზრს, რომ უნდა ჩატარდეს ეროვნული ჩემპიონატი, დავა არ გამოუწვევია. რაგბის კავშირის აზრით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა დაიწყოს ოქტომბერში და დამთავრდეს მარტში. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქუთაისის „აიამ", თბილისის „ელმავალმა", თბილისის აკ-მ, თბილისის „მიმინომ", სპი-მ, უნივერსიტეტმა, ზოოვეტმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, ქუთაისის „აისმა", ჭიათურის „მადაროელმა", სამხატვრო აკადემიამ და სამედიცინო ინსტიტუტმა. თამაშები უნდა ჩატარდეს ორ წრედ, მიმოსვლითი კალენდრით (შინ და გარეთ), ე. ი. თითო გუნდი ჩაატარებს 22 შეხვედრას. აპრილ-მაისში მოეწყობა საქართველოს თასის გათამაშება, თბილისობაზე — საშვიდკაცო შეჯიბრება, ნოემბერში კი უნივერსიადა, სადაც ზემოთ დასახელებულ სტუდენტურ გუნდებს დაემატებიან საქართველოს ფიზკულტურის, ქუთაისის პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები. ზაფხული იქნება დასვენების, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისა და საზღვარგარეთ თამაშების მოწყობის დრო.

დაახლოებით ასეთი სისტემით ტარდება ეროვნული ჩემპიონატი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და, ჩვენი აზრით, იგი ჩვენთვისაც მისაღებია. აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ რაგბის ზამთარში თამაშობენ იმ ქვეყნებშიც, სადაც საქართველოზე მეტად ცივა.

საკითხმა, ითამაშონ თუ არა ჩვენმა გუნდებმა საკავშირო პირველობაზე, დიდი დავა გამოიწვია. გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება.

პირველი: ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შედგეს საქართველოს ორი ნაკრები: ეროვნული („შევარდენები") და ახალგაზრდული (21 წლამდე, „მართვეები"), რომლებიც ზაფხულში ითამაშებენ უცხოურ გუნდებთან, მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამის გაკეთება პრაქტიკულად არ არის ძნელი, რადგან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მორაგბეებს სურთ დაამყარონ კონტაქტები ჩვენს გუნდებთან.

მეორე: ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ეს ორი ნაკრები კლუბების ნაცვლად (ან მათი სახელით) გამოვიდეს საკავშირო პირველობაზე (ორივე უმაღლეს ლიგაში ან ერთი უმაღლესში, მეორე კი — პირველში). რაგბის პოპულარიზაციის მიზნით ორივე ნაკრები თამაშებს გამართავს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ამ ვარიანტის მიხედვით, ჩვენს უძლიერეს მოთამაშეებს შეეძლებათ აიმაღლონ ოსტატობა ძლიერ კლუბებთან პაექრობაში და როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სხვა ნაკრებთან მოუწევს შეხვედრა, იგი შეთამაშებული და ძლიერი კოლექტივი იქნება. არ უნდა შეგვაშინოს იმ აზრმა, რომ თბილისელი ან ქუთაისელი მორაგბეები ალტერნატიულ ვარიანტში შეიძლება სხვა ქალაქის კლუბის სახელით გამოვიდნენ. თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი (და არა მარტო ის) ხომ, ფაქტიურად, საქართველოს ნაკრებია. აქვე შეგახსენებთ, რომ საკავშირო პირველობა რაგბიში იწყება აპრილში და მთავრდება სექტემბერში.

რაც შეეხება „ლელოში" გამოთქმულ მოსაზრებას, საკლუბო ჩემპიონატის ნაცვლად ჩატარდეს საკავშირო ჩემპიონატი რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს შორის, საკავშირო ფედერაციის მიერ იგი ჯერჯერობით უარყოფილია. მაგრამ საკლუბო ჩემპიონატში ჩვენი ეროვნული ნაკრების უეჭველი წარმატება განა იმას არ გამოიწვევს, რომ სხვებიც იძულებულნი იქნებიან ნაკრები დაგვიპირისპირონ?

აქ იბადება რამდენიმე კითხვა. პირველი: ვინ დააფინანსებს საქართველოს ნაკრებს? ჩვენი აზრით, საქართველოს სპორტსახკომმა, რაგბის კავშირმა (საქართველოს რაგბის კავშირმა პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გახსნა ანგარიში ბანკში) და რომელიმე სპონსორმა (თუნდაც იმავე საქართველოს მშენებლობის სამინისტრომ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, „აიასა" და „ელმავლის" პატრონებმა) ნაწილობრივ უნდა იკისრონ ნაკრების დაფინანსება.

მეორე კითხვა: დღეს „აიასა" და „ელმავალში" 50 მოთამაშე იღებს ხელფასსა და პრემიებს. თუ ეს მოთამაშეები არ მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო პირველობაში, ხომ არ მოუხსნიან მათ ხელფასებს („ლოკომოტივის" სპორტკლუბს ხომ ნაწილობრივ საკავშირო რკინიგზა აფინანსებს)?

ჩემი აზრით, საქართველოს ორივე ნაკრების წევრები მთელი წლის განმავლობაში უნდა იღებდნენ ხელფასს. პრაქტიკულად დღესდღეობით ეს ის მოთამაშეები იქნებიან, ვინც „აიასა" და „ელმავალში" ირიცხებიან, მაგრამ კითხვა, თუ საიდან მოვა სახელფასო ფონდი (დაახლოებით 180 000 მანეთი ყოველწლიურად), უპასუხოდ რჩება.



მტკიცება, რომ რაგბი სამოყვარულო სპორტია და თითქოს მსოფლიოში თამაშისთვის არავინ იღებს გასამრჯელოს, დღეს უკვე მცდარია. ეს დანამდვილებით ვიცი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან კონტაქტების წყალობით. „მოწინავე" ქვეყნებში — ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, საფრანგეთში და სხვაგანაც — უკვე კარგა ხანია, ფარულად საკმაო გასამრჯელოს უხდიან მოთამაშეებს. თუ გვინდა, მსოფლიო დონის წარმატებებზე ვიფიქროთ, აუცილებლად უნდა დავუნიშნოთ ხელფასი მოთამაშეებს. ამასთან, ისინი სამსახურშიც არ უნდა იყვნენ მეტისმეტად დატვირთულნი.

საქართველოს რაგბის კავშირის სხდომაზე კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა. ეს გახლავთ ლელობურთი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მორაგბეების წარმატებები განპირობებულია ლელობურთის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, ისევე, როგორც ძიუდოს წარმატებებია დაფუძნებული ქართულ ჭიდაობაზე.

სხდომაზე ინფორმაციით გამოვედი ლელობურთის მდგომარეობის შესახებ. შარშან საქართველოს ჩემპიონატი, მონაწილეთა თხოვნის საფუძველზე, რესპუბლიკის სპორტსახკომმა მიმოსვლით ჩაატარა. სამწუხაროდ, შეჯიბრება აშკარად დაბალ დონეზე ჩატარდა. თუ ჩოხატაურსა და მარტვილში, ასე თუ ისე, გულისხმიერად მოეკიდნენ ამ წამოწყებას, სხვებზე ამას ვერ ვიტყვით. მაგალითად, ქობულეთსა და გალში თამაშები უხარისხო მოედნებზე და არაორგანიზებულად ტარდებოდა.

ამ ჩემპიონატმა კიდევ ერთ რამეზე დაგვაფიქრა. ყველამ იცის, რომ ლელობურთელები რეგულარულად არსად ვარჯიშობენ. მოთამაშეებს, სამსახურისა და ოჯახის გამო, უჭირთ მიმოსვლით თამაში. ამიტომ თამაშებზე ის მიემგზავრება, ვისაც იმ დროს სცალია. ჩემი აზრით, არც არის საჭირო, რომ ლელობურთი, რომელიც თავისი არსით სახალხო თამაშია, დიდებმა ჩემპიონატის სახით ითამაშონ. უნდა დაწესდეს რაიმე ტურნირი, რომელიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გაიმართება და საზეიმო ელფერი ექნება; სადაც ასაკის განუსაზღვრელად ითამაშებს ყველა მსურველი. სხვათა შორის, თბილისელმა მორაგბეებმა გადაწყვიტეს, თბილისში ყოველწლიურად გამართონ ლელობურთელთა ტურნირი.

და თუ მაინცდამაინც საჭიროა საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება ლელობურთში, იქნებ საქართველოს კუთხეების (აჭარა, აფხაზეთი, გურია და ა. შ.) ნაკრებებს შორის ჩაგვეტარებინა შეჯიბრება.

რაც შეეხება მომზადებას და ახალგაზრდებს შორის ლელობურთის განვითარებას, მიმაჩნია, რომ მათთვის აუცილებლად უნდა იმართებოდეს რეგულარული შეჯიბრებები ლელობურთში. საქართველოში რაგბის გავრცელებას ხელს უშლის სპეციალისტების სიმცირე, ლელობურთში კი მთელი საქართველო ერკვევა (განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში). ამიტომ ლელობურთის მწვრთნელების გამონახვა უფრო ადვილია. ნუ დაგვავიწყდება, რომ რაიონებსა და სოფლებში ძალზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომლებსაც შეუძლიათ ლელობურთის თამაში. მათ შორის რჩეულთ (ვინც მოისურვებს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლას) შეუძლიათ რაგბი ითამაშონ. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი ლელობურთში 14-15 და 16-17 წლის ჭაბუკებს შორის. სახალხო განათლების სამინისტროში (მ. მნათობიშვილი, ი. ფხაკაძე) ამ იდეას სიხარულით შეხვდნენ. შეიძლება აგრეთვე პროფტექნიკუმებს შორის პირველობის ჩატარება.

საქართველოს რაგბის კავშირი მზადაა, შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაუწოდოს ლელობურთელებს, თუმცაღა უმჯობესი იქნება, ჩამოყალიბდეს ლელობურთის ფედერაცია.

დავით კილასონია,
საქართველოს რაგბის კავშირის მდივანი, საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი რაგბიში.

ქართული პრესა წერდა...

ერთი წარმართული დღესასწაული სამეგრელოში

პირ-აქეთ საქართველოს ხალხნი როგორათაც ერთი ერთმანეთს ჰგვანან ხასიათით, ზნით და ჩვეულებებით, ეგრეთვე ბევრად განსხვავდებიან. ჩვენ ავღწერთ, სხვათა მრავალთა განსხვავებულ ჩვეულებათა შორის, ერთს მეგრელების ჩვეულებასა, რომელიც ვგონებთ შესანიშნავი იყოს. 20-ს აპრილს, ორშაბათს დღეს, სოფელ ბანძას იყო ჭვენიერება, ამ დღეს თვით წირვაზედ ცოტა იყო ხალხი, გამოსვლის შემდეგ კი ხალხმა დენა იწყო ეკლესიასთან; შუადღის უკან ზარების რეკა და ბუკით ყვირილი დაიწყეს, რომ ხალხი შეგროვებულ იყო და მართლაც ხალხმა ოთხივ-კუთხივ მოხშირებით დენა იწყო; ოთხ საათამდის ათი, ოცი, თხუთმეტი ერთად ცხენიანები და ქვეითად მყოფნი ერთად გამოდიოდნენ დიდის სიმღერით და „კირიელეისონის" გალობით. შემდეგ შეგროვებული ხალხი გაიყო რამდენსამე ნაწილად და თითო ნაწილი ცალკე თამაშობდა. ხან გააბამდნენ ფერხულსა, ფერხულში იყვნენ როგორათაც კაცნი, ეგრეთვე ქალნი, და სამი მხრით იმღერდნენ; ხან დაჰკრავდნენ დაირას, დაირაზედ ტაშს და ცეკვავდნენ ქალ-კაცნი (აქ უფრო საქართველოს სხვა ნაწილებზე ქალნი და კაცნი ერთად თამაშობენ. ცალკე თამაში მათში ქალისა ანუ კაცისა იშვიათი არის). ხან თავიანთ ენაზედ ლექსებს მღეროდნენ, ლექსებზედ ტაშს უკრავდნენ და ცეკვავდნენ ქალ-კაცნი. ესეთმა ნაწილ-ნაწილათ სხვა და სხვა ალაგას თამაშმა განაგრძო ოთხ საათამდინა, ვიდრემდისინ ხალხი კარგად ბლომათ შეიკრიფებოდა. ოთხ საათზედ დარეკეს ხელ-ახლად ზარები და დაიწყეს ბუკით ყვირილი; ცხენიანებმა განკერძოებით თამაშობა დაამშლევინეს, სუყველანი წამოვიდნენ ეკლესიასთან. ეკლესიაში აღსავლის კარებთან დიდი წითელი ბურთი იდვა, რომელიც მღვდელმა აიღო და დაიძახა: „აბა, შვილებო, დაიხადეთ", ხალხმა ტანისამოსის ხდა დაიწყო. „მოდით, შვილებო, და აქ შეინახეთ", უთხრა მღვდელმა. ზოგი მათგანი შეცვივდნენ და თავიანთი ტანისამოსი სამკვეთლოში შეიტანეს, და დააწყეს. ზოგმა გარეთ ანბიონის წინ, ზოგმა საწიგნეზედ, ზოგმა სად და ზოგმა სად; ერთის სიტყვით, ვინც რა ალაგი იპოვა, იქ შეინახა ტანისამოსი. მღვდელმა ჩამოიღო ოლარი, გამოვიდა ეკლესიიდგან და გასწია აღმოსავლეთისაკენ. ხალხი, ქალნიც და კაცნიც, მას გაჰყვა „კირიელეისონის" განუწყვეტელის გალობით. ძლიერის ზარების რეკით და ბუკის ყვირილით, ესეთის ცერემონიით გარიგვლივ შემოუარეს ეკლესიას, თითქოს აღდგომა დღეს ლიტონიას უვლიანო, ლიტონიას შემდეგ მღვდლით და ამავე ცერემონიითა ხალხი გავიდა მინდვრათ. პატარა ხანს შედგა, ზარების რეკაც დააყენეს და ბუკის ყვირილიცა, შეიქმნა მდუმარეობა ხალხში. მღვდელმა მეგრულ ენაზე ორატორულათა სთქვა: „დიდებულო, წმინდაო გიორგი, შენ შეეწიე შენს მრევლს. შენ მიეცი ძალი და ღონე და შეძლება, შენ გაამარჯვებინე აწინდელს ბურთის თამაშში" და გარდააგდო ბურთი. დაეხვივნენ ბურთს კაცნი, ზოგნი ზევით ეწეოდნენ და ზოგნი ქვეით, მაგრამ ცხენიანები ქვეითად მყოფ კაცებს არ აცილიდნენ, იგინი გარ-ირგვლივ ხუთ და ექვს პირად შემორტყმულნი იყვნენ და ცხენიდან ეწოდებოდნენ ბურთსა, რომ ხელში ეგდოთ და მოეტაცნათ. და მართლაც ერთმა ცხენიანმა იგდო ხელში ბურთი, გააფრინა ცხენი და მოიტაცა, დაედევნენ მას სხვა ცხენოსნები, მაგრამ სულ ტყუილათ, იმან გადაასწრო სამზღვარსა და კიდეც გადიტანა. ესეთივე მოქმედება განმეორდა სამჯერ, მაგრამ ერთხელ კი წინაამდეგმა მხარემ აჯობა... მერე კიდევ გახდა ხმა ზარების რეკის და ბუკის ყვირილისა. ხალხმა ეკლესიასთან დენა იწყო... ეკლესიის გარ-ირგვლივ ერთი შემოვლის შემდეგ გასწიეს სოფლისკენ... ორმოცი საჟენის გავლის შემდეგ, მისცვივდნენ ერთს ვაშლის ხეს... ზოგი მათგანი ხის წვერზედ აცვივდნენ, ზოგი შუა ტოტებზედა და ზოგი ძირში... დაუწყეს რხევა... სულ ერთიანად მოგლიჯეს... ასწიეს ეს ხე მაღლა, დედამიწას არ დააკარეს, ისე ჰაერში წამოიღეს და მოიტანეს ეკლესიასთან კიდე ზარების რეკითა... და ეკლესიის კარების წინ დასდვეს... მერე გამართეს ცხენების ჭენება, ჯირითი და ამით გათავდა მათი დღესასწაული.

დავით ბარნაბიშვილი.
ს. მარტვილი. მაისის 4-სა 1870 წ.
„დროება", 1870 წ. 21 მაისი (2 ივნისი)

პუბლიკაცია მოამზადა
სულიკო ნუცუბიძემ.

ფიზკულტურა — ყველასთვის!

სარბიელი თავისი აქვთ

ალბათ, არ ჩამოგვერთმევა კატეგორიულობაში თუ ვიტყვით, რომ საწარმო, როგორი მაჩვენებლებიც უნდა ჰქონდეს მას, არ ჩაითვლება თანამედროვედ, თუ მის მუშამოსამსახურეებს დასვენებისა და ჯანმრთელობის წრთობა-გაკაჟების საშუალება არა აქვთ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყლის" კოლექტივის წევრები თავს ვერ მოიწონებდნენ, საკუთარი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა გვაქვს.



აგროსამრეწველო კომბინატის ეს საწარმოო 400-მდე მუშა-მოსამსახურეს ითვლის. იგი ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა რესპუბლიკაში. აქ მომუშავეთა შორის მრავლად არიან ყოფილი სპორტსმენები და აქტიური ფიზკულტურელები, მაგრამ ბოლო დრომდე ისინი მოწყვეტილნი იყვნენ სპორტულ ცხოვრებას. და აი, ახლახან ადმინისტრაციის მეცადინეობით (დირექტორი თეიმურაზ ჭყონია) საქმე საოცრად შემობრუნდა — ძველი შენობის მეორე და მესამე სართულები მუშა-მოსამსახურეთა აქტიური დასვენების კერად იქცა, რამდენიმე ოთახი მშვენივრად შეკეთდა. მსურველებს შეუძლიათ ივარჯიშონ ათლეტიზმში, ითამაშონ ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, აქვეა ტანვარჯიშის ნათელი დარბაზიც. ვისაც გული ერჩის, შეუძლია კრივშიც იმეცადინოს.

სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია ველოტრენაჟორები, სარეაბილიტაციო (მასაჟის) ცენტრი, ფიზიოთერაპიის კაბინეტი, დასასვენებელი ოთახი, კარდიოგრაფიული აპარატურა.

რა თქმა უნდა, შეიქმნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფებიც. 4 ჯგუფში გაერთიანებულია 60 ქალი და კაცი. სპორტული ვარჯიშები ტარდება ყოველი ცვლის დამთავრების შემდეგ და შესვენების დროსაც.

სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას უნარიანად უძღვება სპორტის ოსტატი ალექსანდრე სიორიძე — ფიზკულტურის ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

ამ კეთილი საქმის წამომწყებნი არც სპორტის მოყვარულთა სამედიცინო მომსახურებას დაივიწყებენ. ზემოთ ნახსენები კარდიოლოგის გარდა, სპორტკომპლექსს საზოგადოებრივ საფუძველზე ემსახურება ექიმთა ჯგუფი თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე არსებული კოოპერატივ „თერაპიიდან". ამავე დროს, სპორტკომპლექსს თავისი „საკუთარი" თერაპევტიც ჰყავს.

თამაზ ქიქავა.

ავტორის ფოტო.

ოლიმპიური ქარტია

წესები

IV. ოლიმპიური თამაშები

1. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა

26. დაშვების კოდექსი

იმისათვის, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღოს, სპორტსმენმა:

— უნდა დაიცვას და შეასრულოს სოკ-ის წესები, აგრეთვე თავისი საერთაშორისო სპორტული ფედერაციის წესები, მოწონებული სოკ-ის მიერ, მაშინაც კი, თუ ფედერაციის წესები, უფრო მკაცრია, ვიდრე სოკ-ისა.

— არ უნდა მიიღოს არავითარი ფინანსური ჯილდო, ან მატერიალური სარგებელი სპორტულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, გარდა იმ გამონაკლისისა, რაც ნებადართულია წინამდებარე წესების ოფიციალურ განმარტებებში.

27. ასაკობრივი შეზღუდვები

სოკ-ი არ ითვალისწინებს არავითარ ასაკობრივ შეზღუდვებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ოლიმპიურ თამაშებში მიღებულია ისეთი ასაკობრივი შეზღუდვა, რაც დაწესებულია სპორტსმენთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სსფ-ის წესებში..

28. ქალთა მონაწილეობა

ქალები შეჯიბრებაში დაიშვებიან შესაბამისი სსფ-ის დებულებით, სოკ-ის თანხმობით.

29. სამედიცინო კოდექსი

ა) დოპინგის გამოყენება იკრძალება. სოკ-ი ადგენს აკრძალული პრეპარატების სიებს.

ბ) ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილემ უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება ან კონტროლი, რომელიც ტარდება სოკ-ის სამედიცინო კომისიის წესების შესაბამისად.

გ) თამაშების ნებისმიერი მონაწილე, რომელიც უარს აცხადებს ასეთ შემოწმებასა ან კონტროლზე, ან რომელიც ცნეს დამნაშავედ დოპინგის მოხმარებაში, გაირიცხება. თუ ასეთი სპორტსმენი შედის გუნდის შემადგენლობაში, მაშინ ამ გუნდს ჩაეთვლება დამარცხება მატჩში, შეჯიბრებაში ან შეჯიბრების სახეობაში, რომლის დროსაც მოხდა ეს დარღვევა.

გუნდის მხრიდან განმარტების განხილვის გათვალისწინებით და შემდგომ საკითხზე შესაბამის სსფ-ში მსჯელობით, გუნდი, ერთი ან რამდენიმე წევრი, რომლებიც აღიარებულნი არიან დამნაშავედ დოპინგის მიღებაში, შეიძლება გაირიცხონ ოლიმპიური თამაშებიდან, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ.

სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც გუნდს აღარ შეუძლია გამოვიდეს როგორც გუნდი ერთი წევრის გარიცხვის გამო, გუნდის დანარჩენ წევრებს შეუძლიათ შეჯიბრებებში გამოსვლა გააგრძელონ ინდივიდუალურად.

დ) შეჯიბრების მონაწილე ქალები ვალდებული არიან გაიარონ დადგენილი კონტროლი სქესის განსაზღვრისათვის.

ე) სოკ-ის სამედიცინო კომისიის წინადადებით, აღმასკომს უფლება აქვს გასცეს განკარგულება მედლის ჩამორთმევის შესახებ.

ვ) წინამდებარე წესების შესრულების უზრუნველსაყოფად შეიძლება შეიქმნას სამედიცინო კომისია. მისი წევრები ერთდროულად არ შეიძლება იყვნენ გუნდის ექიმები.

ზ) ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები არ გამორიცხავენ სსფ-ის მხრიდან შემდგომი სანქციების გატარების შესაძლებლობებს.

განაცხადები

რამდენადაც მხოლოდ ეოკ-ს, აღიარებულს სოკ-ის მიერ, აქვს უფლება შეიტანოს განაცხადი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ, ვისაც ეოკ-ი არა აქვს, უნდა შექმნას იგი და მიაღწიოს სოკ-ის აღიარებას, მანამ, სანამ მიიღებს თამაშებში მონაწილეობის უფლებას.

ეოკ-ში განაცხადები შეაქვთ ეროვნულ ფედერაციებს მხარდაჭერის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტში მათი გასაგზავნად. საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა დაადასტუროს განაცხადების მიღება. ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა შეამოწმონ ეროვნული ფედერაციებიდან მიღებული განაცხადების სინამდვილე და დარწმუნდნენ იმაში, რომ არავინ ყოფილა ჩამოშორებული თამაშებს რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური მოტივებით.

პროტესტი ეოკ-ის გადაწყვეტილების გამო განაცხადების საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება შეიტანოს სოკ-ში ეროვნულმა ფედერაციამ თავისი სსფ-ის მეშვეობით.

არანაკლებ ოთხი თვისა თამაშების გახსნის თარიღამდე საორგანიზაციო კომიტეტში წარდგენილი უნდა იქნეს სპორტის სახეობების და შეჯიბრებების სია, რომლებშიც ეოკ-ის დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას. ეს სია შეიძლება გადაიცეს ტელეგრაფით, შემდგომში წერილობითი დადასტურებით.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის სპორტსმენთა რაოდენობა (რომელიც, 46-ე წესის შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს შეჯიბრების თითოეულ სახეობაში დასაშვებ რიცხვს) გადაეცემა საორგანიზაციო კომიტეტს, სპორტის და შეჯიბრების თითოეულ სახეობაში მონაწილეთა სახელობითი სიის დართვით არა უგვიანეს 15 დღისა ოლიმპიურ ასპარეზობათა დაწყების თარიღამდე თითოეულ სახეობაში ან (აუცილებლობის შემთხვევაში) უფრო გვიანი დროისთვის, რომელიც წინასწარ შეიძლება განისაზღვროს მოცემული სახეობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით.

ყველა განაცხადი უნდა დაიბეჭდოს სოკ-ის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ ბლანკზე, [illegible] ხელით საბეჭდ მანქანაზე ორი ინტერვალით. [illegible] თამაშებში დასაშვებად მონაწილემ უნდა [illegible] სოკ-ის წესების ყველა მოთხოვნა [illegible] უნდა იყოს სოკ-ის მიერ აღიარებული და ამ სახეობის ხელმძღვანელი საერთაშორისო ფედერაციის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სპორტის სახეობაში ქვეყანაში არ არის ეროვნული ფედერაცია, მაგრამ არის აღიარებული ეოკ-ი, ამ უკანასკნელს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური განაცხადები სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის, თუ სოკ-ი და ამ სახეობის სსფ ამას მოიწონებენ.

უნდა შევახსენოთ ეოკ-ებს, რომ, მართალია, ოლიმპიური თამაშები ღიაა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებისათვის. ყველა ახალგაზრდის დაბინავების პრაქტიკული შეუძლებლობა იძულებულს გვხდის მივმართოთ ეოკ-ებს, თამაშებზე გაგზავნონ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც ჯეროვნად არიან მომზადებულნი მაღალი კლასის საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის.

განაცხადის ბლანკში უნდა აისახოს კოდექსის ტექსტი და სპორტსმენთა მიერ ხელმოწერილი შემდგომი განცხადება:

„მე, ქვემორე ხელისმომწერი, ვაცხადებ, რომ გავეცანი ოლიმპიურ თამაშებზე დაშვების პირობებს და ვიზიარებ მის მოთხოვნებს. მესმის რა, რომ, როგორც ოლიმპიური თამაშების მონაწილე, გამოვდივარ ფესტივალზე, რომელსაც გააჩნია როგორც საერთაშორისო, ისე ისტორიული მნიშვნელობა, ვაცხადებ თანხმობას, რომ გადამიღონ კინოფირზე, ტელევიზიისათვის ან სხვა სახით, აგრეთვე გადამიღონ ფოტოზე ოლიმპიური თამაშების დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ნებადართული პირობებითა და მიზნით. მე აგრეთვე ვიღებ ვალდებულებას დავიცვა 51-ე წესი და მისი ოფიციალური განმარტებები, რომლებიც ეხება პრესას, ტელევიზიას და ოლიმპიურ ფილმს“.

შესაბამისმა ეროვნულმა ფედერაციამ და ეოკ-მა აგრეთვე ხელი უნდა მოაწერონ ამ ფორმულარს, როგორც დასტურს იმაზე, რომ მონაწილეს გააცნეს ყველა წესი. განაცხადები ძალაშია მხოლოდ ზემოაღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში.

სოკ-ის ნებართვის გარეშე თამაშებზე განაცხადით ნებისმიერი წარმოდგენილი დელეგაციის, გუნდის ან ცალკეული პირების უარი ასპარეზობაში მონაწილეობაზე ითვლება სოკ-ის წესების დარღვევად, რასაც მოჰყვება სანქციების მიღება.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 131, 133, 139.

ქვეყნები და ემბლემები



მარცხნიდან: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გვატემალის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ემბლემები.

I ლიგა

14 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXV ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ ამ დღეს მიიღო ზაპოროჟიეს „მეტალურგი“. ქუთაისელ ფეხბურთელებს ლიგის გათამაშებაში ურიგოდ არა აქვთ საქმე, ყოველ შემთხვევაში, წინა ტურებში ასკ „კარპატისთან“ სტუმრად მოგებული და საკუთარ მინდორზე აბოვიანის „კოტაიკთან“ წარმატებით ჩატარებული მატჩის შემდეგ, მათ საუკეთესო პერსპექტივები შეექმნათ. მომდევნო ორ ტურში „ტორპედო“ კვლავ შინ თამაშობდა, ამიტომაც, ბუნებრივია, დიდი იმედი გვქონდა, რომ გუნდი კიდევ უფრო გაიუმჯობესებდა სატურნირო მაჩვენებლებს და ლიგის ლიდერთა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ტორპედოელებმა აშკარად უფერულად ჩაატარეს მატჩი მეტალურგებთან და ფრიად დასანანი მარცხი განიცადეს (შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ტორპედომ“ მეტოქის მინდორზე, ზაპოროჟიეში, „მეტალურგს“ მოუგო ანგარიშით 2:1).

ტორპედოელთა თამაშში აშკარად არ იგრძნობოდა ჩვეული კოლექტივიზმი, მონდომება, გამარჯვებისადმი სწრაფვა. კერძოდ, პასიურად გამოიყურებოდა თავდასხმის ხაზი და, პირველ ყოვლისა, მისი ლიდერი მეგრელაძე. საკმაოდ ხშირი იყო შეცდომები დაცვასა და ნახევარდაცვაში.

როგორც ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი გვატყობინებს, მეტალურგებს ამ მატჩში ხშირად ჰქონდათ კონტრიერიშის შესაძლებლობანი, ცალკეულ პერიოდებში უპირატესობას მთლიანად ისინი ფლობდნენ.

თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმრებმა 66-ე წუთზე გაიტანეს. ქუთაისელთა საჯარიმო მოედანზე სტორჩაკის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი, პენალტი ზუსტად დაარტყა ტარანმა — 1:0. ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა ტორპედოელებს სულ მალე მიეცათ, ასეთივე უხეში თამაშისთვის „მეტალურგის“ კარში მსაჯმა ა. კისელიოვმა 11-მეტრიანი დანიშნა, მაგრამ გაბესკირიას დარტყმა მოიგერია ზაპოროჟიელთა მეკარე მოისეევმა, ხოლო საპასუხო ბურთის გატანის სხვა, რამდენადმე მაინც ნაღდი შესაძლებლობა მასპინძლებს აღარ ჰქონიათ.

„მეტალურგთან“ განცდილი მარცხი ფრიად დასანანია, ტორპედოელებმა ამ დღეს თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად ითამაშეს, ახლა ისინი 17 აგვისტოს მიიღებენ დონის როსტოვის არმიელთა გუნდს. საჭიროა სრული ძალით ბრძოლა, რათა ჩვენმა გუნდმა საკუთარი მაყურებლის წინაშე დაამტკიცოს თავისი მონდომება და გამარჯვებისადმი სწრაფვა.

ქუთაისის „ტორპედომ“ ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქორიძე, პაპავა, პაიკიძე (თორღაშვილი), ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, შავგულიძე (მარეხაშვილი), გაბესკირია, მეგრელაძე, დვალიშვილი, შავდათუაშვილი. მსაჯი ა. კისელიოვი (მოსკოვი).

XXV ტურში, სამწუხაროდ, მარცხი განიცადა ბათუმის „დინამომაც“, რომელიც რიგაში შეხვდა „დაუგავას“. რიგელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. რაც შეეხება ლანჩხუთის „გურიას“, იგი დღეს თავის მინდორზე შეხვდება სტავროპოლის „დინამოს“.

განვლილი ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, ცსკა — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	24	17	4	3	68-17	38
„კაირატი“	24	14	6	4	42-17	34
„გურია“	23	13	6	4	37-17	32
„ფაკელი“	24	12	5	7	29-17	29
„ფახთაქორი“	24	11	6	7	30-15	28
„ნეფთჩი“	24	10	7	7	27-22	27
„დინამო“ სტ.	23	9	9	5	31-25	27
„ნისტრუ“	24	12	2	10	25-32	26
„გეოლოგი“	24	11	3	10	26-26	25
„მეტალურგი“	24	10	5	9	33-24	25
„როსტსელ.“	24	8	9	7	23-22	25
„ტორპედო“	22	10	3	9	34-30	23
„კოტაიკი“	23	8	6	9	26-20	22
„ტავრია“	23	8	6	9	32-34	22
„სპარტაკი“	24	8	6	10	27-30	22
„შინიკი“	24	7	8	9	26-40	22
„დინამო“ ბ.	24	8	5	11	21-39	21
„ყუბანი“	24	8	4	12	26-48	20
„კუზბასი“	24	5	8	11	14-27	18
ასკ რ.	24	5	5	14	30-46	15
„დაუგავა“	24	3	5	16	14-43	11
ასკ „კარპატი“	24	2	6	16	18-48	10

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი, მდგომარეობა 16 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	21	13	7	1	40-13	33
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	23	12	5	6	31-22	29
„დნეპრი“ (დნეპროპეტრ.)	21	12	4	5	29-20	28
„ტორპედო“ (მოსკოვი)	21	8	9	4	22-18	25
„დინამო“ (კიევი)	20	8	8	4	22-14	24
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	22	8	8	6	23-20	24
„დინამო“ (მინსკი)	21	9	4	8	26-22	22
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	20	8	6	6	24-23	22
„დინამო“ (მოსკოვი)	21	7	8	6	26-20	22
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	20	6	6	8	18-21	18
„პამირი“ (დუშანბე)	21	6	6	9	16-26	18
„არარატი“ (ერევანი)	21	6	4	11	18-30	16
„დინამო“ (თბილისი)	20	4	8	8	16-21	16
„შახტიორი“ (დონეცკი)	21	6	3	12	15-23	15
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	22	3	7	12	14-36	13
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	3	5	13	10-26	11

• • •

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ შეხვედრაში, რომელიც დამთავრდა ფრედ 1:1 (პირველი ტაიმი 1:1), დაწინაურდნენ ხარკოველები (რალიუჩენკო), საპასუხო ბურთი გაიტანა ბარანაუსკასმა.

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები კოლოკოლოვი და დერკაჩი, აგრეთვე, ვილნიუსელი ძეკასი.

დუბლიორები — 2:0.

მასპინძელთა მარცხი

კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა სულ ახლახან წარუმატებლად ითამაშეს უცხოეთში გამართულ ორ საერთაშორისო მინიტურნირში. კიეველებმა ჯერ ლონდონში მესამე ადგილი დაიკავეს 4 გუნდს შორის, შემდეგ კი ამსტერდამში, ასევე 4 გუნდის ტურნირში ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

ამის შემდეგ კიევის „დინამო“ ახლა უკვე მასპინძლის როლში მოგვევლინა ასეთივე საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც გამოდიოდნენ, აგრეთვე, იტალიის „რომა“, ბრაზილიის „ფლუმინენსე“ და „ბანგუ“. გათამაშების პირველ დღეს კიეველებმა დამატებითი პენალტებით წააგეს „ბანგუსთან“ — 3:4, მერე კი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დამარცხდნენ იტალიის „რომასთან“ — 1:2.

კიევის ტურნირის მთავარი პრიზისთვის ერთმანეთს შეხვდნენ რიო-დე-ჟანეიროს კლუბები „ფლუმინენსე“ და „ბანგუ“. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვა „ფლუმინენსემ“ — 4:2, რომელიც ტურნირის მთავარ პრიზს დაეუფლა.

ასპარეზობის საუკეთესო მეკარედ მიიჩნიეს „ფლუმინენსეს“ მოთამაშე რიკარდო პინტუ, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელად — იტალიელი ფაბრიციო დიმაურო.

სუპერთასის ვადები

ევროპის ორი საუკეთესო საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ევროპის სუპერთასის მატჩების თარიღებზე. ჩემპიონთა თასის მფლობელი იტალიის „მილანი“ და თასების მფლობელთა თასის მფლობელი ესპანეთის „ბარსელონა“ პირველ მატჩს 23 ნოემბერს ჩაატარებენ ბარსელონაში, ხოლო მეორეს —7 დეკემბერს მილანში.

მხოლოდ ერთი შედეგიანი პარტია

საბჭოთა დიდოსტატმა ვალერი სალოვმა 3 ტურის შემდეგაც შეინარჩუნა ერთპიროვნული ლიდერობა შვეციის ქალაქ შელეფტეოში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის I გათამაშებაში. ამ დღეს მას რთული ბრძოლა ჰქონდა მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვთან. თეთრებით მოთამაშე სალოვმა ვერ შესძლო მრისხანე მეტოქის დამარცხება და ყაიმს დასჯერდა. ამრიგად, 2,5 ქულით იგი კვლავ განაგრძობს ლიდერობას თასის გათამაშების VI ეტაპზე.

III ტურში მხოლოდ ერთი პარტია გამოდგა შედეგიანი — პორტიშმა დაამარცხა კორჩნოი. ყაიმზე შეთანხმდნენ საქსი-შორტი, ნანი-ნიკოლიჩი და ვაჰანიანი-სეირავანი. ანდერსონ-ტალის, კასპაროვ-ჰიუბნერის, ელვესტ-რიბლის პარტიები გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულით ლიდერს კვალში მიჰყვებიან იან ელვესტი (სსრ კავშირი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი). გარი კასპაროვს 1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს ანატოლი კარპოვმა (ორივე — სსრ კავშირი), დიულა საქსმა (უნგრეთი), პრედრაგ ნიკოლიჩმა (იუგოსლავია), ჯონ ნანმა (ინგლისი) და იასერ სეირავანმა (აშშ).

მოყვარულები და პროფესიონალები

ეროვნული

ლიონი. „ტეტე დორ პარკის“ ველოტრეკზე დაიწყო მოყვარულ და პროფესიონალ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში არ მონაწილეობს ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სპრინტში ლუც ჰესლიჰი (გდრ). სწორედ ამის გამო, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ბრძოლა ოქროს მედლისთვის უაღრესად მძაფრი და დაძაბული იქნება.

სპრინტერთა ტურნირს, ტრადიციულად, წინ უძღოდა შეჯიბრება გიტში 200 მეტრზე სვლით. ეს ასპარეზობა, ამავე დროს, შერჩევითი შეჯიბრებაა სპრინტერთა გადამწყვეტი ბრძოლების წინ და იგი 24 უძლიერეს ველოსიპედისტს ასახელებს.

უჰესლიჰოდაც გდრ-ს საკმაოდ ძლიერი სპრინტერები ჰყავს, რომლებიც რა დასამალია, უმაღლესი ტიტულებისთვის იბრძოლებენ. ერთ-ერთმა მათგანმა ბილ ჰუკმა მოიგო კიდეც 200-მეტრიანი დისტანცია — 10,521. ხოლო მისმა თანაგუნდელებმა ეიკ პოკორნიმ და მიჰაელ ჰიუბნერმა II-III ადგილები დაიკავეს — შესაბამისად 10,532 და 10,584 აჩვენეს. საბჭოთა სპრინტერთაგან მსოფლიო ჩემპიონატების დებიუტანტს ივგენი ტუროვსკის V (10,833), ნიკოლაი კოვშს კი VII (10, 900) შედეგები ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ 200 მეტრზე გიტში პროფესიონალებს უარესი დრო აღმოაჩნდათ. აქ I ადგილი იტალიელმა კლაუდიო გოლინელიმ დაიკავა — 10,836.

ქალთა გიტმა სპრინტერთა ფინალური შეჯიბრების თორმეტი მონაწილე გამოავლინა. გამარჯვება მოიპოვა ტალინელმა ერიკა სალუმიაე-ფისკერმა — 11,985.

შეჯიბრება სატრეკო სახეობებში 20 აგვისტომდე გაგრძელდება. მოყვარულები გაითამაშებენ 10 უმაღლეს ჯილდოს, (7 — ვაჟები, 3 — ქალები), პროფესიონალები კი ხუთს.

23 აგვისტოს ბრძოლაში საგზატკეცილო რბოლის ოსტატები ჩაებმებიან. ჩემპიონატი დამთავრდება 27 აგვისტოს პროფესიონალთა ჯგუფური რბოლით, რომელშიც მოუთმენლად ელიან „ტურ დე ფრანსის“ ორგზის ჩემპიონის ამერიკელი გრეგ ლემონდის გამოსვლას.

ინფორმაცია

ქალაქ ცინცინატში (აშშ) დაიწყო ჩოგბურთელთა „გრან პრის“ სერიის წარმომადგენლობითი ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ჩოგბურთელებიც მონაწილეობენ. პირველ წრეში მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა მოუგო შვედ სვენ სალუმაას — 6:0, 7:5, ხოლო მეორე მოსკოველმა სპორტსმენმა ანდრეი ოლხოვსკიმ დაამარცხა პუერტორიკოელი მიგელ ნიდო — 1:6, 6:0, 6:4. წარუმატებლად გამოვიდა კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი. იგი ფრანგ ოლივერ დელერუსთან დამარცხდა — 6:7, 1:6.

ბონი. აქ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საწყლოსნო სახეობებში ვაჟთა შორის პირველი მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში დაამყარა ინგლისელმა ადრიან მურჰაუზმა — 1.01,49 წ. ეს მიღწევა 0,16 წამით უკეთესია ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადაზე ამერიკელი მოცურავის სტივ ლუნდკვისტის მიერ დამყარებულ, ახლა უკვე ძველ მსოფლიო რეკორდზე.

ცოტაც არასპორტულ თემაზე...

● **თამბაქოს** წევისაგან განთავისუფლების ორიგინალურ ხერხს მიმართა ყოფილმა მარათონელმა, 42 წლის ამერიკელმა თომას უორენმა. მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა მისი ყოველი ცდა თავი დაეღწია ნიკოტინის მიღების მავნე ჩვევისაგან, უორენმა მეგობრებს სთხოვა 7,6 მ. სიგრძის ჯაჭვი ჩაებათ მისთვის ყელში და დაებათ თავის ოთახში.

— 20 წელი ვეწეოდი თამბაქოს, ოდესღაც მარათონელს სირბილი კი არა, ნორმალურად სიარულიც აღარ შემეძლო, სუნთქვა მეხუთებოდა და ხველება მახრჩობდა — განაცხადა თომასმა „შინაპატიმრობის“ წინ.

გავიდა სამი კვირა. „ტყვეობიდან“ განთავისუფლება უორენმა მეგობრებთან სადილით და საღამოს 3200 მეტრზე გარბენით აღნიშნა.

— დამიჯერეთ, როცა დავრბოდი, თავს ჩიტივით ლაღად ვგრძნობდი — განაცხადა აღფრთოვანებულმა.

● **ევროპაში** გაჩნდა უკაბელო ტელეფონი გაქირავებით. ციურიხში ან ჟენევაში მიმავალ მგზავრს შეუძლია თვითმფრინავიდან შეუკვეთოს ტელეფონის აპარატი. შემდეგ მას საშუალება ეძლევა ტაქსის სალონიდან დაელაპარაკოს ოჯახის წევრებს თუ მეგობრებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. გაქირავებულ ტელეფონს თავისი ნომერი აქვს და აბონენტის გამოძახებაც შეიძლება.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

შტეფი გრაფი და გაბრიელა საბატინი

როგორც კი კორტზე გამოვლენ შტეფი გრაფი და გაბრიელა საბატინი, უიმბლდონის ტრიბუნებზე სიჩუმე ისადგურებს და მაყურებლები სუნთქვაშეკრულნი ადევნებენ თვალს ამ ორი ახალგაზრდა მილიონერი-ჩოგბურთელის „დუელს“.

ისინი საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. დასავლეთგერმანელი შტეფი ქერა და გულღიაა, ფლობს უძლიერეს დარტყმას მარჯვნიდან. საბატინი შავგვრემანია, მდუმარე, არგენტინელ მზეთუნახავს ჯგუფ-ჯგუფად დაჰყვებიან თაყვანისმცემლები, იგი საუცხოოდ ურტყამს მარცხნიდან.

დილაადრიან შტეფი ისე გამოიყურება, თითქოს, სახელდახელოდ წაიხემსაო. იგი სწრაფად მიდის, თითქმის მირბის ვარჯიშზე. შევა თუ არა კორტზე, შტეფი მაშინვე ჩოგანს ეცემა და მეტოქისაკენ გზავნის ბურთს. იგი ასობით ჩაწოდებას აკეთებს, ურტყამს სწრაფად და ძლიერად; თითქოს არ იცის რა არის დაღლა: ურტყამს და ურტყამს.

გაბრიელა კი სულ სხვაგვარად გამოიყურება ვარჯიშისას. იგი კორტზე მსუბუქად და გრაციოზულად მოძრაობს, თითქოს, რაღაც მხოლოდ მისთვის ცნობილ მელოდიას უსმენს და ცეკვავსო. მკერდზე პატარა ჯვარი უბრწყინავს, ხელებზე — სამაჯურები. ოქროს სამკაულები შვენის შავგვრემან კანზე.

შტეფი გრაფი და გაბრიელა საბატინი...

გრაფი თავიდანვე თავდაუზოგავად იწყებს ბრძოლას გამარჯვებისთვის; გაბრიელას კი სხვაგვარი ხასიათი აქვს, მას არ ესმის, რატომ უნდა გაიწვალოს თავი, ამიტომ მატჩის დასაწყისში მთელი ძალით არ იბრძვის ხოლმე.

შტეფი გრაფი ძალისმიერი ჩოგბურთის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია. იგი თამაშს უკანა ხაზიდან, უძლიერეს დარტყმებზე აგებს, თუმცაღა, ბოლო ხანებში ბადესთან გასვლასაც მოუხშირა. პრესასთან სწორედ ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორიც ჩემპიონს შეჰფერის: გულთბილი და, ამავე დროს, საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე. მას მოსწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა და ამის დამალვას არც ცდილობს: „მიყვარს ცენტრალურ კორტზე ხალხით სავსე ტრიბუნების წინაშე გამოსვლა. ეს მეხმარება გამოვავლინო ყველაფერი ის, რისი ძალაც შემწევს“. — ხშირად ამბობს იგი. მისი მშვიდი და გაწონასწორებული ურთიერთობები ყოფაში, სავსებით შეესაბამება მის ქცევას კორტზე. შტეფის თქმით, იგი არასოდეს არ ღელავს მატჩის დაწყების წინ და ფსიქოლოგიური სიმტკიცე თავის უმთავრეს იარაღად მიაჩნია მარჯვნიდან დარტყმასთან ერთად, რომელიც, კრის ევერტის აზრით, საუკეთესოა ქალთა ჩოგბურთში.

შტეფის ჰორფლიანმა ცხვირმა ისე შეაშფოთა მარკეტინგის ამერიკელი სპეციალისტები, რომ მათ კოსმეტიკური ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს. საბატინი კი, პირიქით, სოლიდურ ფირმათა მენეჯერებს რეკლამისთვის ყველაზე პერსპექტიულ სპორტსმენ ქალად მიაჩნიათ. და გაბის, როგორც მას მოფერებით ეძახიან გულშემატკივრები, მშვენივრად ესმის, რომ ის ლამაზია. 16 წლის ასაკში იგი პრესკონფერენციებზე ქათქათა თეთრი ტყავის მინი-კაბით მიდიოდა ხოლმე, მედიდური ღიმილი კი უფრო ადრე ისწავლა, ვიდრე თავის მოუგერიებელ მარცხნიდან დარტყმას სრულყოფილად დაეუფლებოდა.

პატივმოყვარე შტეფი გრაფს სურს პირველი ჩოგანი იყოს. გაბრიელა საბატინის სურვილია, რომ იგი აღფრთოვანებას იწვევდეს.

15 წლის ასაკში საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლისთანავე საბატინი მაყურებელთა და ბიზნესმენთა ყურადღების ცენტრში მოექცა. დღეისთვის მას ცხრა სპონსორი ჰყავს, კონტრაქტის დადების მსურველი კი უთვალავია. საათების შვეიცარიულმა კამპანიამ „ებელმა“ უარი თქვა გრაფის კანდიდატურაზე საბატინის სასარგებლოდ. გაბრიელა რეკლამას უკეთებს „პრინსის“ ჩოგნებს, „ფუძის“ ფოტოაპარატებს, „რეიბენის“ მზის სათვალეებს, უალკოჰოლო სასმელ „პერიეს“ და კიდევ ბევრ სხვა რამეს. მას ბრწყინვალე, დამატყვევებელი გარეგნობა აქვს და საოცრად შეეფერება ეპითეტები „ცეცხლოვანი“, „ტემპერამენტიანი“. მისი ეფექტური პორტრეტის გარეშე წარმოუდგენელია ჩოგბურთის ნებისმიერი მოდური კალენდარი.

გრაფმა კი პირდაპირ გააოგნა კალენდრების ფირმის წარმომადგენლები: მან უარი თქვა კოსმეტიკაზე და არ მოისურვა სხვაგვარად დაევარცხნა „ჯიუტი თმა“. ხოლო, როცა კოსმეტიკურმა ფირმა „ჯეიდმა“, როგორც იქნა, მოახერხა შტეფის დაყოლიება, ფირმა „ჯერი ვებერმა“ კი მანეკენივით გამოაწყო, მისმა გარეგნობამ ისე შეაშინა თვით ჩოგბურთელი, მისი მამა პეტერი და, როგორც ჩანს, მთელი დასავლეთ გერმანია, რომ გადაწყვიტეს, ექსპერიმენტი აღარ გაემეორებინათ.

შტეფის ერთადერთი მწვრთნელი დიდი ხნის განმავლობაში მამა იყო და ახლაც იგი ურყევი ავტორიტეტით სარგებლობს. ამჟამად პეტერ გრაფის მთავარი საზრუნავია ქალიშვილს ახალი კორტები აუგოს, იმ ოთხი ტიპის საფრით, რომლებზეც „დიდი მუზარადის“ ტურნირები იმართება. ეს საშუალებას მისცემდა შტეფის უმთავრესი შეჯიბრებებისთვის მშობლიურ ბრიულში მომზადებულიყო.

საბატინიმაც და გრაფმაც 14-14 წლის ასაკში მიატოვეს სკოლა და შემდეგ სახელმძღვანელო აღარ გადაუშლიათ. შტეფი იმით იფართოებს თვალსაწიერს, რომ დაუღალავად ათვალიერებს ღირსშესანიშნავ ადგილებს იმ ქვეყნებში, სადაც სპორტული ბედი გადაისვრის. გაბრიელას უშფოთველი გარეგნობა კი თვალნათლივ მეტყველებს, რომ ისეთი „წვრილმანი“, როგორიც არის განათლება, მას დიდად არ აღელვებს. არგენტინაში მან პოპულარობით დიეგო მარადონასაც კი გადააჭარბა: ქუჩაში წამდაუწუმ კოცნიან ხელზე, მის წინ ყველა კარი იხსნება. გაბრიელას სიტყვაძვირობა თვით მამამისსაც კი აოცებს: ერთხელ, მატჩის წინ მან ჰკითხა გაბის, თამაშზე რას ფიქრობო. გოგომ არაფერი უპასუხა, საღამოს კი წერილობითი პასუხი გადასცა...

„მე არასოდეს შემშინებია და არც ახლა მეშინია რომელიმე მეტოქისა, — ამბობს გრაფი, — ჩემთვის საინტერესო და სასიამოვნოა მსოფლიოს პირველ ჩოგნად ყოფნა“.

შარშან შტეფი გრაფმა მოიგო უიმბლდონის ტურნირი, ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატები და „დიდ მუზარადს“ დაეუფლა, რომელსაც ადრე, ქალთა შორის, მხოლოდ ამერიკელი მორინ კონოლი (1953 წ.) და ავსტრალიელი მარგარეტ კორტი (1970 წ.) ფლობდნენ.

პუბლიკაცია მოამზადეს **ზაზა კვერცხიშვილმა და კობა ბრეგვაძემ.**

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **წარსულში** ცნობილი პოლონელი თავდამსხმელი ჰენრიკ კასპერჩაკი, რომელიც ბოლო დროს საფრანგეთის „სტრასბურგის“ მწვრთნელად მუშაობდა, ახალ სეზონში პარიზის „რესინგს“ უხელმძღვანელებს.

● **საფრანგეთის** „ოსერმა“ ახალი თავდამსხმელი შეიძინა. ესაა უნგრეთის ნაკრების და ბუდაპეშტის „ჰონვედის“ 24 წლის ფორვარდი კალმან კოვაჩი.

● **„ბრავოს** პრიზი“ (ევროპის 23 წლამდე ფეხბურთელთათვის) მოიპოვა „მილანისა“ და იტალიის ნაკრების მცველმა პაოლო მალდინიმ. (338 ქულა), II-III ადგილებზე გავიდნენ გეორგე ჰაჯი („სტიაუა“, რუმინეთი, 224), ჩირო ფერარა („ნაპოლი“, იტალია, 213).

ეს პრიზი დაწესდა 1978 წელს. მისი ლაურეატები იყვნენ: 1978 — კეისი („ლივერპული“), 1979 — ბორტლესი („ნოტინგემი“), 1980 — ჰანსი მიულერი („შტუტგარტი“), 1981 — უარკი („იფსვიჩი“), 1982 — შოუ („ასტონ ვილა“), 1983 — ბონინი („იუვენტუსი“), 1984 — რიგეტი („რომა“), 1985-1986 — ბუტრაგენიო („რეალი“), 1987 — ვან ბასტენი („მილანი“), 1988 — ოჰანა („მეჰელენი“).

● **წარსულში** ცნობილმა მექსიკელმა მეკარემ ანტონიო კარბახალმა უარყო ქვეყნის ფედერაციის თხოვნა, დაეკავებინა ნაკრების მწვრთნელის პოსტი. თავისი უარი კარბახალმა მექსიკურ ფეხბურთში გამეფებულ ქაოსს დააბრალა.

● **საფრანგეთის** პირველ დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვეს „ბრესტმა“, „მულუზმა“ და „ლიონმა“. სამივე გუნდმა დაიწყო შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვა. ასე მაგალითად, „მულუზში“ ითამაშებს ბელგიის საუკეთესო ბომბარდირი, ავსტრალიელი კრნჩევიჩი, „ლიონში“ კი გლაზგოს „სელტიკის“ მოთამაშე მაკარტი.

● **არგენტინის** შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ოსკარ ალბერტო დერტისია ბუენოს-აირესის „არგენტინოს ხუნიორსიდან“ იტალიის „ფიორენტინაში“ გადავიდა. აქ იგი თავის თანამემამულე რამონ დიასს შეცვლის.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სპორტსახკომი, ფეხბურთის სამმართველო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები, „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს სლავა მეტრეველს მამის

კალისტრატე მეტრეველის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00389